ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 9 (5039)

1974 წ. 13 იანვარი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 18 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ?

თბილისი. ჭადრაკის სასახლე. 11 იანვარი. XVIII ტური.

ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) — ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი) 0,5:0,5, მ. შული (ლვოვი) — ო. პეტკო (სოფი) 1:0, კ. ზგორიკინა (მინსკი) — ო. მოროზოვა (ლვოვი) 0,5:0,5, ი. მატვეევა (ალმა-ათა) — ტ. ფომინა (ტალინი) 0:1, ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) — ა. გრინფელდი (კალინინგრადი) 0:1. გადაიდო პარტიები: ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) — ვ. სტერნინა, ტ. ზატულოვსკაია (ორიეე — მოსკოვი) — ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ე. სტრელნიკოვა (კუიბიშევი) — მ. ჩიბურდანიძე (თბილისი), ლ. ლიუბარსკაია (დონის როსტოვი)— ლ. სემიონოვა (კიევი), ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — ა. კისლოვა (ომსკი).

18 ტურის შემდეგაც ჩემპიონის ოქროს მედლის პრეტენდენტებად რჩებიან შული, მედიანიკოვა — 13-13 ქულა, გაფრინდაშვილი — 11,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, კოზლოვსკაია — 10,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

ბოლოსწინა ტურის შეხვედრებს ჩემპიონობის მაძიებელ მოჭადრაკეთა რიცხვი არ შეუმცირებია, მაგრამ ლიდერთა წყობაში კი ცვლილებები შეიტანა.

ყველა დარჩენილი პარტია რომ მოეგო, მედიანიკოვა პირველ ადგილს მხოლოდ გაფრინდაშვილთან გაიყოფდა, თუ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელიც ყველა მეტოქეს დაამარცხებდა. მაგრამ ამბობენ, კაცი ბეჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

სიცილიურ დაცვაში მედიანიკოვას პოზიცია უპერსპექტივო აღმოჩნდა. მულენკო ინიციატივას დაეუფლა და იერიშისთვის საუცხოო პირობებიც შეექმნა, შეტევის სწორ გეგმას კი ვერ მიაგნო. მას პაიკების მწყობრი წინსვლით უნდა დაერღვია მეტოქის მეფის დაცვითი ნაგებობა, მაგრამ ფიგურების აქეთ-იქით ტრიალში ძვირფასი დრო დაკარგა. მედიანიკოვამ მოასწრო დაცვის გამაგრება და კონტრთამაში რომ აეწყო, პოზიციაც გაათანაბრა, მერე კი ბედის ცდას დაზაფრა ამჯობინა.

შული გამარჯვებაზე ოცნებობდა, მაგრამ გრანობებს არ აჰყვა და ძველინდურ დაცვაში იერიში თანმიმდევრულად მოამზადა. ეს პროცესი ოდნავ გაჭიანურდა. ჰედკის თავად შეეძლო შულის მეფის დალაშქვრა, მაგრამ გაუბედავად იქცეოდა, საეჭვო მანევრებს გადაჰყვა. ჰედკის ფიგურების უმრავლესობა ლაზიერის ფრთაზე იყო, როცა შულმა მეტოქის მეფეს შეუტია. თავდასხმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ სოჭელი ოსტატის გვირგვინოსანს ვედარაფერმა უშველა.

ამ მოგებით შული მედიანიკოვას დაეწია, მაგრამ პირველი ადგილის ბედი გაფრინდაშვილის ხელშია. მას შეუძლია ჩემპიონობა არავის გაუყოს.

სტერნინამ შეგნებულად აირჩია მშვიდობიანი რუსული პარტია. იცოდა, რომ მსოფლიო ჩემპიონს მოგება სჭირდება და რისკს არ მოერიდებოდა, მაგრამ სტერნინა მოტყუვდა. გაფრინდაშვილმა დიდი ხელოვნებით მიაღწია მცირე პოზიციურ უპირატესობას, რაც ეყო მოგების შანსის შესაქმნელად. სტერნინა როგორდაც შეუმჩნევლად აღმოჩნდა მსუბუქი ფიგურების უარეს ენდშპილში, მერე კი ნონამ პაიკიც მოუგო. პარტია გადაიდო. უპირატესობის რეალიზება ტექნიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან დაფაზე ბევრი ფიგურა აღარაა დარჩენილი.

ბოლო შეხვედრებში კოზლოვსკაიასაც მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს, მაგრამ ზატულოვსკაიასთან თანაბარი ენდშპილის მეტს ვერაფერს მიაღწია. მან მთელი საღამო ფიგურებით ლავირებას მოანდომა, იქნებ მეტოქის პოზიციაში სისუსტე მოეძებნო. მაგრამ ზატულოვსკაია, რომელსაც ამ ტურნირში საერთოდ ბედი არ სწყალობს, ამჯერად უშეცდომოდ თამაშობდა. პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში.

ახლა ყველაფერს გადადებული პარტიების დამთავრება გადაწყვეტს.

ბრძოლა საინტერესო იყო სხვა შეხვედრებშიც. გრინფელდმა ბორისენკოს (ფიგურა მოუგო) დაბოლოებაში აჯობა; მოროზოვა ყაიმს დასჯერდა, რაკი ამ შედეგითაც სანუკვარ შვიდეულში რჩებოდა (ეს ოსტატობის კანდიდატს ოსტატის წოდებას აძლევს); ალიოხინამ თანაბარ ენდშპილში გადადო პარტია; ფომინამ მალე მოუგო მატვეევას, რომელმაც მეტოქის პაიკებს ლაზიერში გასვლის შანსი მისცა; ლიუბარსკაია აგრესიულად უტევდა სემიონოვას და ფიგურაც შესწირა. ახლა, გადადებულ პარტიაში, ფიგურების რაოდენობა თანაბარია, მაგრამ ლიუბარსკაიას წაგების საფრთხე ემუქრება, ვინაიდან კვლავ უფიგურად დარჩება.

წუხელ პოზიციაში შეწყდა ჩიბურდანიძის შეხვედრა სტერლნიკოვასთან. მთელი პარტია შინაარსიანი და საინტერესო იყო.

თ. გიორგაძე.

* * *

დღეს გაიმართება დასკვნითი, XIX ტური, რომელშიც დიდ ინტერესს იწვევს ჰედკო — გაფრინდაშვილის, გრინფელდ — შულის, მედიანიკოვა — ბორისენკოსა და კოზლოვსკაია — ლიუბარსკაიას შეხვედრები. ჩიბურდანიძე ზვორიკინასთან ითამაშებს.



ᲔᲥᲕᲡᲘᲐᲜᲔᲑᲘ. ᲔᲥᲕᲡᲘᲐᲜᲔᲑᲘ

სპორტული ცეკვა ფიგურისტთა შეჯიბრების ნამდვილი მშვენებაა. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურეს ევროპისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა, მოსკოველებმა ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა. ჩელიაბინსკში, სადაც საკავშირო თასის გათამაშება ტარდება, სპორტულ მოცეკვავეთა მორის ოსტატობით მათ ვერავინ გაუტოლდა. პახომოვამ და გორშკოვმა ბრწყინვალედ შეასრულეს ნებისმიერი პროგრამა. შესრულების ტექნიკაში სამმა მსაჯმა ათ უმაღლესი შეფასება (6,0) მისცა, ხოლო თთხმა — ოდნავ ნაკლები (5,9). სამაგიეროდ, შესრულების მხატვრულობაში შვიდივე მსაჯმა „ექვსიანებით“ შეაფასა მოსკოველთა გამოსვლა.

დანარჩენი ჰრიზიორებიც მოსკოველები არიან: II ადგილზე გავიდნენ ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი, III — ს. ალექსეევა და ა. ბოიჩუკი.

გუშინ თასი გაითამაშეს ქალებმა. ასპარეზობის დასკვნითი ეტაპის დაწყების წინ, ესე იგი საგალდებულო პროგრამის შემდეგ, წინ იყვნენ: ლენინგრადელები ა. კორნეევა, ტ. ოლენინა, მოსკოველი ლ. ბაკონინა.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

შარშან დეკემბერში დამთავრდა ევროპის კალათბურთელთა ტურნირების წინასწარი მატჩები და მერვედფინალური შეხვედრები. საპატიო პრიზებისთვის ბრძოლა გადაწყვეტ ფაზაში შედის. მეოთხედფინალებში მეტოქეები ქვეჯგუფებად დაიყვნენ. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების (როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შეჯიბრებებში) ქვეჯგუფებში 4-4 გუნდია გაერთიანებული, თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში კი — 3-3. ყოველი ქვეჯგუფიდან 2-2 საუკეთესო გუნდი ნახევარფინალში თამაშის უფლებას მიიღებს.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ

მერვედფინალური მატჩებიდან მძაფრი გამოდგა ბულგარეთის „აკადემიკისა“ და ჩეხოსლოვაკიის „დუკლას“ ორივე შეხვედრა. ბულგარელებმა შინ 18 ქულით მოიგეს (83:65), სტუმრად კი დამეს ბრძოლა (80:90), მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში გაიმარჯვეს (173:145) და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ბელგიის „რესინგმა“ ანტვერპენში სძლია რუმინეთის „დინამოს“ 75:65, ბუქარესტში რუმინელებმა იმარჯვეს (67:65), მაგრამ საბოლოო გამარჯვება ბელგიელებს დარჩათ — 140:132.

მეოთხედფინალში თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს: „რეალმა“ (ესპანეთი), უბსკ-მ (ავსტრია), „რადნიჩკიმ“ (იუგოსლავია), „ბერკმა“ (საფრანგეთი). მეოთხედფინალიდან ჩაებმება ტურნირში თასის მფლობელი — იტალიის „ინისი“.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

როგორც ვიუწყებოდით, პირველი მეოთხედფინალური მატჩი თასის მფლობელმა, რიგის ტტტ-მ მოუგო იტალიის „სტანდას“. მეოთხედფინალში თამაშობენ, აგრეთვე: ლკს (პოლონეთი), მტკ (უნგრეთი), „მარიცა“ (ბულგარეთი), „სლავია“ (ჩეხოსლოვაკია), კლერმონ-ფერანის უნივერსიტეტი (საფრანგეთი) და „პოლიტექნიკა“ (რუმინეთი).

ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ

დაძაბულა იყო საბერძნეთის „ოლიმპიაკოსისა“ და ბულგარეთის „სეპტემბრიისკო ზნამეს“ (ცსკა) მერვედფინალური მატჩები. ათენში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 67:59, სოფიაში კი წარმატება არმიელებს ხვდათ—79.69. საბოლოო ჯამში ნახევარფინალში ბულგარელები გავიდნენ — 138:136.

მეოთხედფინალში თამაშის უფლება მიღებული აქვთ, აგრეთვე, იტალიის „საკლიას“, ჩეხოსლოვაკიის „სპარტა-ზბროიოვკას“, რუმინეთის „სტიაუას“ და ესპანეთის „ესტუდიანტესს“.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

საპატიო ჯილდოს მფლობელი, ლენინგრადის „სპარტაკი“ ბრძოლას მეოთხედფინალიდან იწყებს. მას მეტოქეობას გაუწევენ შემდეგი გუნდები: იტალიის „ჯეასი“, რუმინეთის იეფს-ი, იუგოსლავიის „ჟელეზნიჩარი“, ჩეხოსლოვაკიის „ვრალოვოპლოსკა“, უნგრეთის „სპარტაკუსი“.

ᲒᲐᲛᲝᲘᲜᲔᲠᲔᲗ „ᲚᲔᲚᲝᲡ“

რედაქციაში ხშირად მოდის მკითხველთა წერილები. გვწერენ, რომ „სოიუზპეჩატის“ კიოხურებში „ლელოს“ შოვნა ჭირს, რადგან გაზეთი დილის საათებშივე იყიდება და ვინც ცოტას დაგვიანებს, უკვე აღარ ხვდება.

ამ წერილების პასუხად ჩვენს მკითხველებს უნდა მოვახსენოთ, რომ საცალო გაყიდვისთვის გამოყოფილი გაზეთების რაოდენობა არ გაიზრდება. ამიტომ მათ ვურჩევთ ᲒᲐᲛᲝᲘᲜᲔᲠᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲗᲣᲗᲜᲓᲐᲪ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲓᲐᲜ, მით უმეტეს, რომ სხვა ყოველდღიურ შეჯიბრებათა მასალებთან ერთად „ლელოს“ ფურცლებზე დაიბეჭდება ბევრი საინტერესო ამბავი როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის სპორტული ცხოვრებიდან. ამას გარდა, სწორედ თებერვლიდან ჩვენს გაზეთში დაიწყება ბეჭდვა თავის დროზე საქვეყნოდ სახელგანთქმული ფეხბურთელის ვ. ივანოვის წიგნისა „ცენტრალური წრე“. განზრახული გვაქვს, აგრეთვე, დავბეჭდოთ თარგმანი გ. გილმორის წიგნისა „რბენა სიცოცხლისთვის“, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელს მსოფლიოში.

რასაკვირველია, ჩვენი გაზეთი კვლავაც დიდ ადგილს დაუთმობს რესპუბლიკის სპორტულ მაჯისცემას. ასე რომ, თუ გსურთ სპორტულ ცხოვრებას არ ჩამორჩეთ და თვალუური ადევნოთ თქვენი საყვარელი სპორტსმენების წარმატებებს, ნუღარ დაგვიანებთ, ᲒᲐᲛᲝᲘᲜᲔᲠᲔᲗ „ᲚᲔᲚᲝ“ 1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲓᲐᲜ.

თებერვლიდან წლის ბოლომდე ხელმოწერის ფასია 7 მან. და 15 კაპ.

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲣᲖᲦᲣᲓᲐᲕᲘᲐ.

ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲣᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲝᲓ

ცსკა-ს ჩოგბურთის სასახლეში დაიწყო მოსკოვის ღია ჩემპიონატი. ასპარეზობაში მონაწილეობს სსრ კავშირის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი, გარდა ა. მეტრეველისა.

გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. ამ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან: ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. მოროზოვა — გრანატეროვა, ზინკევიჩი — ბაკშეევა, ჩუვირინა — კრასკო, ბირიუკოვა — კრომინა; ᲕᲐᲟᲔᲑᲘ. ბოგომოლოვი — ივანოვი, ლამპი — კოროტკოვი, ეოლკოვი — ბორისოვი, ლეიუსი — კაკულია.

ᲞᲠᲘᲝᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ

სამთომოთხილამურეობა მსოფლიო თასების გათამაშების — მორიგი ეტაპის შეჯიბრებები გარმიშ-პარტენკირჭენში გაიმართა. ვაჟთა სპეციალურ სლალომში მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა კ. ნორიროტერმა (გფრ) — 43,47 წამი. მან მსოფლიო თასის მფლობელს, იტალიელ გ. ტონის, რომელმაც წლევანდელი გათამაშება ერთობ უიღბლოდ დაიწყო, 0,40 წამი მოუგო და II ადგილზე დატოვა. III ადგილზე გავიდა იტალიელი ფ. რადიჩი. იგი ტონის წამის ორი მეასედით ჩამორჩა.

მერე ვაჟები სწრაფდაშვებაში „კანდაჰარის“ პრიზზე ასპარეზობდნენ (ეს შეჯიბრება ამავე დროს მსოფლიო თასის გათამაშების ჩათვლაში შედის). აქ ყველას აჯობა რ. კოლომბენმა (შვეიცარია).

ქალები გიგანტურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი ა. პრიოლი (ავსტრია) გიგანტურ სლალომში VIII ადგილს დასჯერდა. აქ ყველას აჯობა კანადელმა გოგონამ ჯ. კრაინერმა. სამაგიეროდ, პრიოლმა სწრაფდაშვებაში 1.12,93 აჩვენა და მეტოქეთ წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა. II ადგილზე გასულ თანაგუნდელს ვ. დრეკსელს მან 1,30 წამით აჯობა.

ქალთა შორის ლიდერობს პრიოლი, რომელსაც 109 ქულა აქვს. II ადგილზეა კრაინერი — 66. ვაჟთა შორის დაწინაურდა ავსტრიელი ფ. კრამერი — 81 ქულა. კოლობენს 75 ქულა დაუგროვდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ავსტრიელები ლიდერობენ. მათს მთავარ მეტოქეებს, საფრანგეთის სამთომოთხილამურეებს ჯერჯერობით III ადგილი უკავიათ.



შარშანდელ სპორტულ სეზონში დიდ წარმატებას მიაღწია უზბეკმატანმოვარჯიშემ ელვირა საადმ. სსრ კავშირის პირველობაში, რომელიც უფაში ჩატარდა, მან ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა. საადი შუა აზიის პირველი წარმომადგენელია, რომელმაც ესოდენ დიდ წარმატებას მიაღწია საკავშირო შეჯიბრებაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ე. საადი დვირზე ვარჯიშის დროს.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელი, ახალი ამოცანები, მიზნები

შარშანდელი წლის მიწურული მარადსახსოვარი იქნება აჭარელი მშრომელებისთვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გამარჯვება მიეკუთვნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით. ამ გამარჯვებაში დიდი დამსახურება მიუძღვით ოლქის სოფლების ახალგაზრდებს, რომლებმაც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებსა და პლანტაციებში შრომით შორს გაუთქვეს სახელი შრომიერ ავტონომიურ რესპუბლიკას. ახალი წლის წინა დღეებში ჩვენ შევხვდით აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ზ. მამუჩაძეს, მივულოცეთ აჭარის მშრომელთა გამარჯვება და ვთხოვეთ პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მუშაკთა ესოდენ დიდი გამარჯვება ალბათ იმანაც განაპირობა, რომ თქვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ახალგაზრდობა გატაცებულია ფიზკულტურითა და სპორტით, სამუშაოსგან თავისუფალ საათებში სხვადასხვა სპორტულ სექციაში იკაუებს სხეულს და ამიტომ შრომაც სახალისო და მაღალნაყოფიერიც გახდა.

— ნამდვილად ასეა! ჩვენთან დიდი ყურადღება ექცევა სოფლის ახალგაზრდობაში ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვას. ამ ბოლო ხანს ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აიგო სპორტული ბაზები. ახალგაზრდობა უფრო მეტ მონდომებას იჩენს ფიზიკური გაკაჟებისადმი, სპორტისადმი. ჩაის პლანტაციებში რეგულარულად ეწყობა ფიზკულტურული პაუზები, რის შემდეგ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები უფრო მეტ ძალას გრძნობენ, მეტ პროდუქციას ქმნიან. ფიზკულტურასა და სპორტში სოფლის მუშაკთა ფართოდ ჩაბმისთვის ნაყოფიერად მუშაობს „კოლმეურნის“ საოლქო საბჭო, სოფლის ბევრი ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობა ქებას იმსახურებს.

● რა იყო მნიშვნელოვანი თქვენთვის შარშან. რამ გაგახარათ ან გული რამ დაგწყვიტათ?

— შარშან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა რაისაბჭოების საქმიანობა. ეს იმან განაპირობა, რომ რაიონებში ფიზკულტურის სულმძღვანელ პოსტებზე ახალი, უფრო ენერგიული ადამიანები მოვიდნენ. მათ თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდეს ხელი დაკისრებულ საქმეს, მუშაობა გამოცოცხლდა, სოფლის მოსახლეობამაც მეტი ინტერესი გამოიჩინა, იმატა ფიზკულტურელთა რიცხვმა, ამაღლდა რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა ოსტატობის დონე. სწორედ ამან განაპირობა აჭარელ სპორტსმენთა წარმატება საქართველოს ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში, სადაც ჩვენ საპრიზო ადგილი მოვიხვეჭეთ. გვყავს ამ თამაშების 15 ჩემპიონი, 52 ვერცხლისა და 48 ბრინჯაოს მედლის პრიზიორი. განსაკუთრებით გაგახარეს ნიჩბოსნებმა, მძლეოსნებმა, ძიუდოისტებმა, მშვილდოსნებმა, მოცურავეებმა, ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი აღებულ ვალდებულებათა პირნათლად, გადაჭარბებით შესრულებისთვის ზრუნვა იყო. აჭარის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ეს საქმე სასელოვნად დავაგვირგვინეთ.

● ამჟამად რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციის მთელი ყურადღება და საქმიანობა მიმართულია საქართველოს და სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადებისთვის მზადებისკენ. ბევრგან წარმატებით დაიწყეს სამზადისი ამ დიდი მნიშვნელობის სპორტულ ასპარეზობაში წარმატებით გამოსვლისთვის. ამ მხრივ რა გაკეთდა თქვენთან?

— საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისთვის მზადება შარშან დავიწყეთ. შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის VI სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი. დაიწყო აჭარის ფიზკულტურული ორგანიზაციების ინტენსიური მზადება ჯერ საოლქო, შემდეგ კი საქართველოს სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისთვის. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი აჭარელი სპორტსმენი შევიდეს საქართველოს ნაკრებ გუნდებში, რომლებსაც ხალხთა VI სპარტაკიადაში რესპუბლიკის სპატიო ღირსების დაცვა მოუწევთ. წარმატებები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი სპორტული ბაზების სიმცირეს რომ არ განიცდიდეს. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი ხანია ბათუმში არ აგებულა არც ერთი მნიშვნელოვანი სპორტული ბაზა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა რესპუბლიკური თუ საკავშირო მასშტაბის ასპარეზობათა გამართვა. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. 1966 წელს დაიწყო და დღესაც ბოლო არ უჩანს ბათუმის ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის მშენებლობას. არ გაგვაჩნია ბაზა მძლეოსნების მოსამზადებლად. ბათუმის „დინამოს“ სტადიონის სარბენი ბილიკები უვარგისია.

გვაკლია მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები, რაიონებში მომუშავე სპეციალისტებისთვის ხშირად ვერ ვაწყობთ თათბირ-სემინარებს, რის გამოც ბევრი მწვრთნელი ჩამორჩა, ძველი ცოდნით გადის ფონს. ეს იწვევს ახალგაზრდობის ნაკლებ დაინტერესებას ფიზკულტურითა და სპორტით. ამას თავად მწვრთნელებიც კარგად გრძნობენ და დაკისრებულ საქმეს უკვე ზერელედ ეკიდებიან. თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია თავისი საქმის მოყვარულ მწვრთნელს, ამაში დარწმუნდებით ერთი ხულოელი სპეციალისტის მაგალითით. დურსუნ ბოლქვაძემ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საშუაოდ ხულოს მიაშურა და ახალგაზრდა მოჭიდავეთა აღზრდას მოკიდა ხელი. რაიონული ცენტრის ჭაბუკებმა იგრძნეს ახალგაზრდა, საქმის მოყვარული და უანგარო სპეციალისტის ხელი და მასთან სავარჯიშოდ ბევრი ჭიდაობის მოყვარული მივიდა. მაგრამ ბოლქვაძეს გადაულასავი წინააღმდეგობა დახვდა წინ: ხულოში არ იყო სპორტული დარბაზი, მოჭიდავეთა ნორმალური წვრთნისთვის შრომისმოყვარე მწვრთნელმა გზა გამონახა: შინ მიიტანა საჭიდაო ლეიბები, საკუთარი სახლის ერთი ოთახი გაათავისუფლა და იქ მოაწყო საჭიდაო სარბიელი. მეორე რაც მოხდა, ის იყო საკვირველი! ხულოელი მწვრთნელის აღზრდილებმა აჭარის მოსწავლეთა სპარტაკიადაში ყველას აჯობეს კლასიკურ ჭიდაობაში, მათს წინაშე უძლურნი აღმოჩნდნენ ბათუმელებიც კი, რომლებიც მანამდე არც ერთხელ არ დამარცხებულან. ეი, რას ნიშნავს საქმის სიყვარული.

● მოწინავე ფიზკულტურულ კოლექტივებზე რას გვეტყვით?

— ჩვენთან ასეთი კოლექტივი არცა თუ ცოტაა, მაგრამ, ჩემი აზრით, ერთ-ერთი პირველთაგანია ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატი.

ტელეფონის ზარის ხმამ ინტერვიუ შეწყვეტა. ზ. მამუჩაძეს მინისტრთა საბჭოში უსმობდნენ სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგ სხდომაზე.

„ინსპექტორი“

ჩვენს ამბავი ★ ფიზკულტურიდან

ლვოვის ოლქი. სკოლევსკის რაიონის დაბა სლავსკში სამი წელია მუშაობს სამთომრთხილამურეთა საბავშვო სკოლა, რომელშიც 10-16 წლის ბავშვები სწავლობენ. ბავშვები გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ და იწრთობიან.

დაბის ნორჩი სამთომოთხილამურეები თავიანთი თანატოლების რესპუბლიკური თუ საკავშირო შეჯიბრებების მონაწილენი და პრიზიორები არიან.

სურათზე: მწვრთნელი ი. კოლიუჟნი თავის მოწაფეებთან — ლ. ლუკოვსკაიასთან, ლ. სტეფანშინთან და ი. კორპანცთან ერთად.

ვ. პესლიაკის ფოტო (საკდესი).

სადგურ პლანიორნაიაში, „სპარტაკის“ ბაზაში, მოეწყო უძლიერეს მოთხილამურეთა ასპარეზობა ქალაქ მოსკოვის პრიზზე.

სურათზე: 20 კმ-ზე რბოლაში გამარჯვებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი ფ. სიმაშოვი („დინამო“). მისი შედეგია 1 საათი და 22 წამი.

ვ. უნ და სიწის ფოტო (საკდესი).

რეკორდი სეზონის სტარტზე

მოსკოვში, არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ტირში, დამთავრდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა პნევმატური იარაღით სროლაში.

თბილისელმა სპორტის ოსტატმა ქალმა ტ. კაზარიანმა პნევმატური პისტოლეტით პირად ჩათვლაში VI ადგილი დაიკავა, ამასთან, საქართველოს და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის რეკორდები დაამყარა. წინანდელი უმაღლესი მიღწევა, რომელიც შეიარაღებული ძალების ორგზის ჩემპიონს, თბილისელ სპორტის ოსტატს ო. კუდრიავცევას ეკუთვნოდა და 373 ქულას უდრიდა, ტატიანამ 7 ქულით გააუმჯობესა.

შეიარაღებულ ძალთა ნაკრებში, რომელიც სსრ კავშირის თასის გათამაშებისთვის ემზადება, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქიდან შეყვანილი არიან ტ. კაზარიანი, ო. კუდრიავცევა და სპორტის ოსტატი ე. აბაჯიანი.

რ. კაცოგაუვილი.

სროლა

ოთხი გამარჯვება და ერთი ფრე

ახლახან ოდერის ფრანკფურტში გაიმართა ტრადიციული საახალწლო ტურნირი ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გდრ-ის, სსრ კავშირის, უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის 1973 წლის ჩემპიონები. პირველობა მოიპოვეს საბჭოთა ხელბურთელებმა: ცსკა-მ დაამარცხა ბუდაპეშტის „ჰონვედი“ (11:9), ოდერის ფრანკფურტის „ფორვერტსი“ (13:12) და ვროცლავის „შლიონსკა“ (19:9). რაც შეეხება პრაღის „დუკლას“, ამ გუნდთან შეხვედრა არმიელებმა ფრედ დაამთავრეს (15:15).

ხელბურთი

მსოფლიო რეკორდები

ცურვა

1974 წლის 18 იანვრისთვის

50-მეტრიანი აუზისთვის

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
ქალები			
თავისუფალი სტილი			
100 მ	57,54	კ. ენდერი (გდრ)	1973
200 მ	2.03,6	ფ. გოულდი (ავსტრალია)	1972
400 მ	4.18,07	კ. როტჰამერი (აშშ)	1973
800 მ	8.50,1	ჯ. ტურალი (ავსტრალია)	1974
ბრასი			
100 მ	1.13,6	კ. კარი (აშშ)	1972
200 მ	2.38,6	კ. ბოლი (აშშ)	1968
ბატერფლაი			
100 მ	1.02,31	კ. ენდერი (გდრ)	1973
200 მ	2.13,76	რ.-მ. კოტერი (გდრ)	1973
გულაღმა			
100 მ	1.04,99	უ. რიხტერი (გდრ)	1973
200 მ	2.19,2	მ. ბელოუტი (აშშ)	1972
კომპლექსური			
200 მ	2.20,51	ა. ჰიუბნერი (გდრ)	1973
400 მ	4.57,51	გ. ვეგნერი (გდრ)	1973
ვაჟები			
თავისუფალი სტილი			
100 მ	51,2	მ. სპიტცი (აშშ)	1972
200 მ	1.52,8	მ. სპიტცი (აშშ)	1972
400 მ	3.58,18	რ. დემონტი (აშშ)	1973
1500 მ	15.31,65	ს. ჰოლლანდი (ავსტრალია)	1973
ბრასი			
100 მ	1.04,02	ჯ. ჰენივი (აშშ)	1973
200 მ	2.19,28	ჯ. უილკი (დიდი ბრიტანეთი)	1973
ბატერფლაი			
100 მ	54,3	მ. სპიტცი (აშშ)	1972
200 მ	2.00,7	მ. სპიტცი (აშშ)	1972
გულაღმა			
100 მ	56,3	რ. მათეზი (გდრ)	1972
200 მ	2.01,87	რ. მათეზი (გდრ)	1973
კომპლექსური			
200 მ	2.07,2	ჰ. ლარსონი (შვეცია)	1972
400 მ	4.30,8	გ. ჰოლი (აშშ)	1972

ჟურნალისტი: „ფეხბურთი ჭეშმარიტი თამაშია“

ეგზიუპერის პატარა უფლისწული, როგორც თავად მოგეხსენებათ, ერთობ ცნობისმოყვარე, მიამიტი, მაგრამ გონებამახვილი არსება იყო. ალბათ გახსოვთ მისი საუბარი მელიასთან. უფლისწულს ბატკანი ჰყავდა, როშელსაც არასოდეს აბამდა. ბატკანი რომ გაგექცესო? — ჰკითხა მელიამ. აბა, რა გაჰქცევსო, ბატკანს საიდა ექვს იმდენი ჭკუა, სადმე დამემალოს და გადამეკარგოსო, — მიუგო უფლისწულმა. ადგება და პირდაპირ წავა, მოდი მერე და ეძებეო, — უთხრა მელიამ. თუ პირდაპირ ავალი, შორს ვერ წავალო, — უპასუხა უფლისწულმა.

უკვე აღარ მახსოვს, რა შემთხვევის გამო გაიხსენა ეგზიუპერის მშვენიერი ზღაპრის ეს პასაჟი ჩემმა მასპინძელმა, მაგრამ იგი ერთობ სიმბოლურად მომეჩვენა. განა ასე არ არის? — ხშირად სხვის ნაამბობს ჩვენებურ, სუბიექტურ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ჩვენებურად გავიაზრებთ.

მე მომეჩვენა, რომ მასპინძელს ეს ამბავი შემთხვევით არ გაუხსენებია. ეს იყო მინიშნება იმაზე, თუ როგორ არ უნდა იაროს ადამიანმა სწორხაზოვნად, მექანიკურად, ჩრმად, როგორ უნდა მონახოს თავისი გზა, ცხოვრების გზა, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებს.

ძნელია ამ საკუთარი სწორი გზის მოძებნა, ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. მე უკვე ვიცი, უკვე მოვისმინე და გავიგე იმის შესახებ, რის მოყოლასაც თქვენთვის ვაპირებ. მე ვიცი, რომელ გზას გაუყვა ცხოვრებაში, სპორტულ სარბიელზე, საზოგადოებრივ ასპარეზზე ქერათმიანი, საშუალო ტანის, ოდნავ ირონიულად მომზირალი კაცი.

მას აცვია ნაცრისფერი, სადა, მაგრამ გემოვნებით შეკერილი კოსტიუმი, თითქოს თავის სპორტულ წარსულს ხაზს უსვამსო, კოსტიუმს შიგნით შავი მალალყელიანი ჯემპრი მოუჩანს. ამ ტანსაცმელში იგი მაგონებს არა მოედანზე, არამედ ცხოვრებაში დიდი ხნის წინათ ნანახ ნაცნობ ადამიანს.

უკვე მოგვიანებით, სადღაც შუა საუბარში, მე გავიხსენე ის კაცი. მას ზზირად ხატავდა ჩემი მეგობარი მხატვარი, ხატავდა თავისთვის, როგორც იდეალს, უფრო სწორად, სპორტულ იდეალს. მხატვარი არასოდეს ყოფილა სპორტსმენი, მაგრამ ავადმყოფურად უყვარდა ფეხბურთი. იგი, როგორც გულშემატკივარი, ფეხბურთის მინდორზე ხედავდა არა იმდენად ეფექტურ გოლებს, რამდენადაც ესთეტიკურ მომენტს, პლასტიკას, უჩვეულო მოზაიკას, ნამდვილ საფეხბურთო ინტელექტს. ასეთი ფეხბურთის, ასეთი ფეხბურთელის ლამის იდეალურ წარმომადგენლად მას მუდამ მიაჩნდა ვლადიმერ ბარქაია. ვერავინ და ვერავითარი ძალა ვერ შეცვლიდა მის შეხედულებას.

ჩემი მეგობარი მხატვარი, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში მსოფლიო ფეხბურთის საუკეთესო ნიმუშებსაც გაეცნო, ბოლომდე ამ საყვარელი ფეხბურთელის ერთგული დარჩა. მას არ აინტერესებდა სხვათა აზრი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქართველოში ბევრი თანამოაზრე ჰყავდა. ისინი, ჩემი მეგობარი და მისი თანამოაზრეები, ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე ყოველნაირ ამინდში, ქარსა და წვიმაში, პაპანაქება სიცხეში თუ სიცივეში უყურებდნენ ფეხბურთელის თამაშს, რომელსაც თვით ყველაზე მომთხოვნი, ყველაზე სკეპტიკოსი და ეჭვიანი საფეხბურთო გურმანების მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა.

თუ ჩვენი მხატვარი ახლა ამ სტრიქონებს კითხულობს, არ ვიცი, სიამოვნებს თუ არა, რომ მისი საიდუმლოება გავიცი. მას არასოდეს მოჰქონდა თავი რომელიმე პიროვნებისადმი აშკარად გამოლაღებული სიმპათიითა თუ ხიყვარულით, რადგანაც, მისი აზრით, ნამდვილი დაფასება, ხიყვარული მუდამ მოკრძალებული და უტყვია.

... როცა ლესელიძეში გამგზავრებას ვაპირებდი (ჭიბეში უკვე მედო სამივლინებო ფურცელი და მატარებლის ბილეთი), სადგურის ერთ კუთხეში მზესუმზირას გამყიდველი ისე ხაწყლად შემომყურებდა, რომ ცდუნებას ვერ გავუძელი და ერთი ჭიქა გამოვართვი. მატარებელში მზესუმზირა გადამაყენეს. მან თავი „შემახსენა“ მხოლოდ გამთენიისას, როცა რიონის ბინდბუნდში გადმოვედი ლესელიძის სადგურში. მე გულუბრყვილოდ გამახარა მზესუმზირამ, მან გამახსენა ჩემი და მხატვარი მეგობრის სიჭაბუკის წლები, როცა, მართალი გითხრათ, საკუთარი სურვილის წინააღმდეგაც კი, „დინამოს“ კოხტა სტადიონის ტრიბუნაზე მსხდომნი, გემრიელად ვაკნატუნებდით მზესუმზირას. იქნებ ეს ზზირად არც ხდებოდა, მაგრამ მას შემდეგ ფეხბურთი ჩვენს წარმოდგენაში ასოციაციით მზესუმზირასაც უკავშირდებოდა. მზესუმზირა „შემყვა“ ვლადიმერ ბარქაიას მყუდრო კაბინეტშიც (იგი ამჟამად ლესელიძის პანსიონატ „სპორტის“ დირექტორია). და მე გავიფიქრე: თითქოს გრძელდება სიჭაბუკე, თითქოს უფრო თვალნათლივ წარმომიდგა თვალწინ აწ გარდასული საფეხბურთო ბატალიები, რომელთა განუყრელი გმირი ჩვენი კერპი იყო...

... ზღვა სულ ახლოს ხმაურობს, იგი არ ჩანს მაგნოლიებისა და კიპარისების მწვანე ფარდის მიღმა, მაგრამ მისი შხუილი, მონოტონური გმინვა რაღაც მარადიულის, რაღაც მძლავრისა და შეუდრეკელის ილუზიას იწვევს. არ ვიცი, ამასვე ფიქრობს თუ არა ჩემი თანამოსაუბრე, მაგრამ ეს გრგვინვა ძალიან მაგონებს „დინამოს“ სტადიონის ოქროს ხანას, როცა ტრიბუნებზე ნემსის ჩასაგდები ადგილიც არ რჩებოდა, როცა ბილეთიან კაცს თავი უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა, როცა იქაურობა მძაფრი საფეხბურთო პერიპეტიების დროს მართლაც გაავებით მოგუგუნე ზღვას ჰგავდა.

ზღვის სანაპიროზე დაბადებულს სტადიონზეც ნაცნობი, საყვარელი და ახლობელი სტიქიონის სუნთქვა ეხმოდა თითქოს.

კვირა დღე იყო, როცა პანსიონატისკენ მივდიოდი. დავინახე, როგორ თამაშობდნენ ლესელიძელი ბიჭები დეკემბრის მსუბუქი ორთქლით შეფერადებულ ნიყვითლეშეპარულ მინდორზე ბურთს. მე სხვა დროსაც შევსწრებივარ ასეთ იმპროვიზებულ ფეხბურთს, რომელსაც საფუძვლად უდევს ამ ლამაზი თამაშისადმი დიდი და უანგარო სიყვარული. ვიცოდი, ეს ფეხბურთი მალე არ დამთავრდებოდა. ისინი თამაშობდნენ მაშინაც, როცა მზე შუბისტარზე გადაიხარა, როცა დეკემბრის ისედაც სუსტი მზე საბოლოოდ გაუფერულდა. ჩემთვის გასაგები გახდა, როცა მასპინძელმა თავისი სპორტული გზის შესახებ საუბარი აღრეული ბავშვობის გახსენებით დაიწყო. ის, ჩემი მასპინძელი, ვლადიმერ ბარქაია, თითქოს ამ ბიჭების ჯგუფიდან გამოვიდა, ოღონდ დიდი ხნის წინათ.

— გაგრაში დავიბადე, პატარა ქალაქში, სადაც ძალიან უყვართ მზე, ზღვა და ფეხბურთი. ფეხბურთი სხვაგანაც უყვართ, მთელს სანაპიროზე, მაგრამ გაგრელების სიყვარული ამ თამაშისადმი განსაკუთრებულია. იქნებ იმიტომაც, რომ გაგრაში ფეხბურთს უმდიდრესი ტრადიციები ჰქონდა. ჩვენ, პატარა ბიჭებმა, ვიცოდით „წინაპართა“ სახელები და გადმოცემები მათი თამაშის შესახებ სასიამოვნოდ აღვივებდა ბავშვურ პატივმოყვარეობას.

ზშირად მეკითხებიან, როდის დაიწყე ფეხბურთის თამაშით. ამ კითხვას მუდამ უპასუხოდ ვტოვებ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში უნდა გავიხსენო როდის ავიდგი ფეხი, როდის დავიწყე ლაპარაკი ან როდის ვისწავლე ცურვა. ჩვენი სახლი სტადიონის მახლობლად იდგა. როცა იქ, სტადიონზე, ფეხბურთი არ იმართებოდა, ბურთი და მოედანი ჩვენ გვრჩებოდა. მთელი ომის წლები გოგო-ბიჭებმა სტადიონზე გავატარეთ. იქნებ ამიტომაც, საფეხბურთო მინდორი ჩვენთვის იმთავითვე იქცა არა მარტო გასართობ ადგილად, არამედ თავისებურ თავშესაფრადაც. ვთამაშობდით დილიდან საღამომდე. რადგან პატარები ვიყავით, გოგონებსა და ბიჭებს შორის თითქმის ვერ ვამჩნევდით განსხვავებას. გოგონები ჩვენზე ნაკლები გატაცებითა და სიმარჯვით როდი დასდევდნენ ბურთს. მეტიც, თანატოლებში — ბიჭებშიც და გოგონებშიც ყველაზე მარჯვე ფეხბურთელად ითვლებოდა... ნინო. ასე ერქვა ჩვენი ბავშვობის ერთ მეგობარს, სწრაფ, მკვირცხლ, იშვიათი სპორტული ნიჭით დაჯილდოებულ გოგონას. ის სკოლაშიც საუცხოოდ სწავლობდა და ჩვენთვის ყოველმხრივ სამაგალითო უფროსი ამხანაგი გახლდათ.

ბავშვობაში, რაც თავი მახსოვს, ნამდვილი ბურთი რა იყო, არ ვიცოდით. ეს საოცნებოდ გვქონდა გადაქცეული. ისე კი ჩოგბურთის საკმაოდ შელანძღული ბურთითაც იოლას გავდიოდით. ფეხშიშველები ვიყავით, ბუნების ნამდვილი შვილები. სხვათა შორის, ჩვენი, როგორც სპორტსმენ-ფეხბურთელების სავალალო მდგომარეობა ოდნავადაც არ გვაღონებდა. სინორჩე, სიჭაბუკე ოპტიმიზმითაა აღსავსე, სიძნელეები, დაბრკოლებები ვერ ამინებს.

ნეტავ სად არიან ახლა ჩემი ბავშვობის მეგობრები, ტკბილი, ძვირფასი ახლობელი ადამიანები? მათთან ერთად შევიგრძენი პირველად ცხოვრების სიტკბოცა და სიმწარეც, მათთან ერთად ვოცნებობდი დიდ ფეხბურთზე... ამჟამად, როცა მათ ვიგონებ, ასე მეჩვენება, თითქოს ყოველი მათგანი ფეხბურთისთვის იყო დაბადებული. ეს, ალბათ, მართლაც ასე იყო, რადგანაც ფეხბურთი, სპორტი, ჩვენთვის, სწავლის გარდა, ერთადერთი ყველაზე სანუკვარი, ყველაზე ძლიერი გატაცება გახლდათ. მასში ვაქსოვდით არა მარტო უდიდეს ფიზიკურ ენერგიას, არამედ სულიერ მისწრაფებებსაც.

ჩვენ ფეხბურთით ვცხოვრობდით. ფეხბურთმა გააკეთილშობილა ჩვენი სული, დაგვხვეწა, ქუჩის მავნე გავლენას აგვაცილა. განსაკუთრებით თბილად მაგონდება საშა პაელიჩოვი. ჩინებული მონაცემები ჰქონდა, თავისუფლად შეეძლო მომავალში ქვეყნის ნებისმიერ კარგ გუნდში ეთამაშა. მისი ნიჭი მეუმჩნეველი არ დარჩენია. რამდენიმეჯერ მიიწვიეს მოსკოვის „დინამოში“, „კრილია სოვეტოვში“ და სხვაგანაც, მაგრამ გაგრის გუნდში თამაშობდა და, წარმოიდგინეთ, ვერაფერმა აიძულა წასულიყო შშობლიური ქალაქიდან. კუთხური პატრიოტიზმი აქ არაფერ შუაშია, არც ნებისყოფის სიმტკიცისა თუ ინიციატივის უკმარობა. უბრალოდ, ნაცნობ გარემოს ვერ მოსწყდა, ანდა, ვინ იცის, იქნებ ბავშვობის განუმეორებელი რომანტიკა ტოვებდა ნიადაგ გაგრაში. მე თბილისის „დინამოში“ თამაში უკვე დამთავრებული მქონდა, საშა კი ძველებურად გამოდიოდა გაგრის გუნდში. სხვა თანატოლებიდან ზოგმა რა პროფესია აირჩია და ზოგმა რა, მათი დიდი უმრავლესობა ფეხბურთს არ გაჰყოლია.

მერე და მერე ჩემზე უფროს ბიჭებთან — გურხა ჭანტურიასთან, შოთა გობეჯიშვილთან, გივი ალასანიასთან და სხვებთან ერთად მიხდებოდა თამაში. შემდეგ ისინი სოხუმის „დინამოში“ მიიწვიეს.

კარგად მახსოვს ჩემი პირველი ოფიციალური მატჩი. 14 წლისა ვიყავი, მაგრამ დიდი პატივი დამდეს და უფროსებთან ერთად გაგრის ნაკრებში მათამაშეს. ეს იყო მატჩი აფხაზეთის ერთ-ერთ ძლიერ გუნდთან — სოხუმის „დინამო“ №-6-თან. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, როგორ ვღელავდი. ჩემს გამოუცდელობას ემატებოდა სიმორცხვე და მოკრძალება, რაც ასე ბუნებრივია ნამდვილ ფეხბურთში „ძუძუმწოვარა“ ბავშვისთვის. ის შეხვედრა წავაგეთ. ეტყობა, ჩემი თამაში „ექსპერიმენტატორებს“ არ მოეწონათ და თითქმის ორი წლის მანძილზე აღარავის უთქვამს ჩემთვის გუნდში ითამაშეო. ახლა რომ ვფიქრობ, უფროსებმა შემიცოდეს: ფიზიკურად ძალიან სუსტი ვიყავი.

პირველი მწვრთნელი, პირველი აღმზრდელი და ჭკვის დამრიგებელი ყველას ახსოვს. მეც ტკბილად ვიგონებ მაშინდელ ჩვენს მწვრთნელს კობელიანსკის. თუმცა „პროფესიონალი“ მწვრთნელი არ ყოფილა, მაგრამ ფეხბურთი თავდავიწყებით უყვარდა და თავის ცოდნას უდიდესი ენთუზიაზმით გადმოგვცემდა. ჩემმა საფეხბურთო დებიუტმა ... [illegible] ... გაგრის სპორტსკოლის გუნდში გადაყვანამ. ეს იყო იმ დროისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო სკოლა, რომელიც ბევრ ნიჭიერ სპორტსმენს ზრდიდა. სპორტსკოლის გუნდში ერთად ვთამაშობდით შოთა სიჭინავა, შემდგომში თბილისის „დინამოს“ და „ბურევესტნიკის“ წევრი, ლესელიძელი ვლადიზერ დოლბაია, ვიქტორ და გარი ტატულინები და სხვები. ესენი კარგ ფეხბურთელებად იქცნენ და ძლიერ გუნდებშიც თამაშობდნენ.

ორი წლის „შესვენების“ შემდეგ კვლავ დავუბრუნდი გაგრის ნაკრებს. ფიზიკურად ისეთი სუსტი ყმაწვილი აღარ ვიყავი. მომემატა საკუთარი ძალის რწმენაც, ვგრძნობდი, ფსიქოლოგიურადაც მზად ვიყავი უფროსების გუნდში სათამაშოდ. გაგრის „ბურევესტნიკს“ მაშინ ავარჯიშებდა მწვრთნელი რეზო შარტავა, დაკვირვებული, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი აღმზრდელი. მისი სჯეროდათ ფეხბურთელებს.

ფეხბურთის მეცენატობა დღესდღეობით ლამის საგინებელ-სალანძღავ სიტყვად იქცა, მას თითქმის მუდამ ირონიულ-გამკილავ კონტექსტში ხმარობენ. მაგრამ მე ჩემი საფეხბურთო კარიერის მანძილზე კეთილშობილი მეცენატი გაცილებით მეტი შემხვედრია, ვიდრე უარყოფითი. ერთ-ერთი მათგანი იყო გაგრის „კულორტვაჭრობის“ მმართველი გიორგი კოკაია. ეს ღვთისნიერი კაცი, რა თქმა უნდა, კანონიერების ფარგლებში, როგორც იტყვიან, ცივ ნიავსაც არ გვაკარებდა ფეხბურთელებს. ეს იყო ფეხბურთისადმი უანგარო სიყვარულის ნიმუში. ჩვენს გუნდს კოკაიას მეოხებით მუდამ ჰქონდა ნორმალური პირობები ვარჯიშისთვის, შეკრებებისთვის, ჰქონდა ავტობუსი. თანაც, კოკაია არასოდეს ერეოდა გუნდის შინაურ საქმეებში.

ძალიან მოწადინებული ვიყავით ყველანი, გუნდში რკინისებური დისციპლინა გვქონოდა. ნიჭის უკმარობისთვის კი ფეხბურთელებს ვერავინ დავმფარებოდა. კარგმა თაობამ მოიყარა თავი. კარგი დრო იყო. აფხაზეთის ჩემპიონატში პირველი ადგილი დავიკავეთ და საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში გამოსვლის უფლება მოვიპოვეთ.

სხვათა შორის, იმდროინდელი თამაშები გუშინდელი დღესავით მახსოვს, თუმცა მას შემდეგ ოც წელზე მეტმა განვლო. ბავშვობაში და სიჭაბუკეში მიღებული შთაბეჭდილებები ხომ განსაკუთრებით ცხოვლად აღიბეჭდება მახსოვრობაში!

კარგად ვთამაშობდით მეორე ჯგუფშიც. ბოლო შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, ვინ გადავიდოდა უფრო მაღალ ლიგაში — ჩვენ თუ ლანჩხუთელები. ორივე გუნდს ერთნაირი ქულები გვქონდა. დიდ სამზადისში ვიყავით, მაგრამ ერთმა კურიოზმა ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. მატჩი ლანჩხუთში იყო დანიშნული. კვირა დღეს უნდა გვეთამაშა, მაგრამ მოულოდნელად შეხვედრა შაბათისთვის გადმოიტანეს, გუნდის სამი მთავარი მოთამაშე გამოცდებს აბარებდა ფიზკულტურის ინსტიტუტში. მათ დროზე ვერ შევატყობინეთ კალენდარში ცვლილების შეტანის ამბავი და ლანჩხუთში რვანი ჩავედით. ამ რვა კაცს სათადარიგო მეკარე დაგვემატა. ჩვენი უდიდესი მონდომების მიუხედავად, თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 3:1. ლანჩხუთელთა გუნდში გამოდიოდნენ შემდგომში ცნობილი ფეხბურთელები ილია დათუნაშვილი, ლევან ქორდანია და სხვები.

ა. გოგელია.

(გაგრძელება იქნება)

* * *

სურათზე: გარლვევაზეა ბ. ბარქაია.

მ. ზარგარიანის ფოტო.

საკლეურნეო სტოლოთქოთი

✦ ხაშური

„კოლმეურნის“ რაიონულმა საბჭომ მოაწყო ფეხბურთელთა შეჯიბრება, სადაც მონაწილეობდა 12 გუნდი.

ჩემპიონის წოდება მოიპოვეს სურამელმა კოლმეურნეებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ოსიაურისა და ქვიშხეთის გუნდები.

* * *

რაიონის წარმოება-დაწესებულებების ფეხბურთელთა 20 გუნდი მონაწილეობდა თასის გათამაშებაში.

წარმატება წილად ხვდა სამგზავრო ავტო-სატრანსპორტო კანტორის გუნდს.

ზ. მოსეშვილი.

ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყება პრეტენდენტთა მატჩები

ამ დღეებში იწყება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები. ეს შეხვედრები მილიონობით ჰადრაკის მოყვარულის უდიდეს ინტერესს იწვევს, ვინაიდან პრეტენდენტთა მატჩები, ჩვეულებრივ, შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშად იქცევა ხოლმე.

ბრძოლას პირველნი დაიწყებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბორის სპასკი და ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭადრაკე რობერტ ბირნი. მათი შეხვედრა 14 იანვარს დაიწყება სან-ხუანში (პუერტო-რიკო). ასე რომ, 30 იანვარს, თავის დაბადების დღეს (37 წლის ხდება) სპასკი სატურნირო დარბაზში აღნიშნავს.

შორი მანძილის გამო და აკლიმატიზაციის მიზნით, სპასკი პრეტენდენტთა მატჩების საბჭოთა მონაწილეთაგან პირველი დაადგა გზას. მას ახლავს თავისი უწინდელი მწვრთნელი და ხელუფროსი, საერთაშორისო დიდოსტატი იგორ ბონდარევსკი.

სამშობლოდან გამგზავრების წინ ჩვენ ორივეს ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვათ მომავალი მატჩის შესახებ.

სპასკი:

— ათი წლის შემდეგ მე ისევ, უკვე მესამედ, ვიწყებ ლაშქრობას „ოქროს საწმისისთვის". ძველ დროში ამბობდნენ, ყოველ ციფრს სიმბოლური მნიშვნელობა აქვსო. მე არ ვიცი, რას მომიტანს ამჯერად „სამიანი", მაგრამ ვფიქრობ, რომ ბირნი პრეტენდენტთა ჯგუფში შემთხვევით არ შესულა.

ბონდარევსკი:

— ზოგიერთ მიმომხილველს სულ ტყუილად ეგონია, რომ სპასკი — ბირნის მატჩში შედეგი წინასწარ განსაზღვრულია. 45 წლის ამერიკელმა დიდოსტატმა მარტო ძლიერ პრაქტიკოსად როდი გაგვაცნო თავი. იგი ყურადღებით ადევნებს თვალს საჭადრაკო თეორიის სიახლეებს, დიდ ყურადღებას აქცევს ლიტერატურულ-ანალიტიკურ მუშაობას, გამოსცა რამდენიმე საინტერესო მონოგრაფია. ერთი სიტყვით, სან-ხუანში მძიმე, შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდება.

ბონდარევსკი, ცოტა არ იყოს, ხედმეტი მოკრძალებით თქვა: ზოგიერთ მიმომხილველსო. ზოგიერთი კი არა, საჭადრაკო ექსპერტების 99 პროცენტი „ხმას ძლევს" საბჭოთა დიდოსტატს, თუმცა სპასკისა და ბირნის ოფიციალურ შეხვედრათა ანგარიშია 0,5:0,5, თავად ამერიკელი კი ამბობს: სპასკი უაღრესად აგრესიულადაა განწყობილი, რაც ზემოთვის ძალიან სამწუხაროა.

სპასკის უწინასწარმეტყველებენ არა მარტო ამერიკელ მოჭადრაკესთან მატჩის მოგებას, არამედ პრეტენდენტთა მთელ ტურნირში გამარჯვებასაც. არის ცნობები, რომ სან-ხუანში ჩასვლას აპირებს მსოფლიო ჩემპიონი რობერტ ფიშერიც, რომელმაც ევროპაში საგასტროლოდ გამგზავრება შემდეგისთვის გადადო...

შედეგის თვალსაზრისით ყველაზე „იდუმალებით მოცულია" ტიგრან პეტროსიანისა და ლაიოშ პორტიშის (უნგრეთი) მატჩი, რომელიც ბალმადე-ბალიორკაში (სპანეთი) დაიწყება 18 იანვარს. შეტოქეთა ოსტატობა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ პირადი შეხვედრების ანგარიში პორტიშის სასარგებლოდ მეტყველებს: ოთხი მისი გამარჯვება და ექვსი ყაიმი. გამოჩენილ თეორეტიკოსსა და პრაქტიკოსს, სახელგანთქმული მაროცის შემდეგ უნგრეთში ყველაზე ცნობილ დიდოსტატს, რასაკვირველია, სურს შეინარჩუნოს ეს ბალანსი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კი ანგარიშის შეცვლას შეეცდება.

დანარჩენ ორ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ვიქტორ კორჩნოი — ენრიკე მეკინგი (ბრაზილია) და ანატოლი კარპოვი — ლევ პოლუგაევსკი. ამ შეხვედრებში თამბათა ბრძოლა გაჩაღდება. პირველი მატჩი 16 იანვარს დაიწყება ქალაქ აუგუსტაში (აშშ, ჯორჯიის შტატი), ხოლო მეორე მოსკოვში აიღებს სტარტს 17 იანვარს. კარპოვიცა და მეკინგიც 22 წლისანი არიან (ბრაზილიელი 23 იანვარსაა დაბადებული და თავის დაბადების დღეს ისიც ჭადრაკის დაფასთან აღნიშნავს). კორჩნოი ორმოცდაორი წლისაა, პოლუგაევსკი — ოცდაცხრამეტისა.

ახალგაზრდობას აზარტი და სითამამე ხერხთად ახასიათებს, მაგრამ მეკინგი, ჩვენი აზრით, მეტისმეტად თვითდაჯერებულია. მატჩზე გამგზავრების წინ მან განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, მოვიგებ. ბოლო ხანებში დღეში ათ საათს ვვარჯიშობდი. გადადებული ბრძოლა ბაუჩერი.

დიდება და ავტოგრაფები

განთქმულ სპორტსმენთა სახელები დიდხანს ცოცხლობს ხალხის მეხსიერებაში. სწორედ ამიტომ შემოერტყნენ გარს სკოტლანდიარდის ახალგაზრდა თანამშრომლები უოფილ მსოფლიო ჩემპიონს მოტორბოლაში გრეჰემ ჰილს (მარჯვნივ) ლონდონის ერთ-ერთ გზაჯვარედინზე. მართალია, გრეჰემს მოძრაობის წესი არ დაურღვევია, მაგრამ მაინც იძულებული გახდა თავი „გამოესყიდა"... სამი ავტოგრაფით. ამ ავტოგრაფებს მოუთმენლად ელოდნენ (მარცხნიდან) ჯეინ ჰარვუდი, კეროლ ჰემონდი და ბრაიან ბაუჩერი.

ჯონ პულის ახალი ცხოვრება

ჯონ პულმა ახალი ცხოვრება დაიწყო. 15 წლის უონტაგოელ (ვიქტორიას შტატი, ავსტრალია) ბიუს 7 წარუმატებელი ოპერაციისა და საბოლოოდ ფეხის ამპუტაციის შემდეგ ექიმებმა პროთეზი გაუკეთეს. მაგრამ ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ჯონმა ფარ-ხმალი არ დაყარა — ყოველდღიურად ვარჯიშობს. თავისუფალ დროს იგი თამაშობს ფეხბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, ფორმას ინარჩუნებს ცურვითა და ტანვარჯიშით, ამასთან ჯონს ყოველ დილით ველოსიპედით დააქვს ფოსტა ქალაქის მოსახლეობისთვის. მოძრაობისა და სიცოცხლის სიყვარულმა გაიმარჯვა.

პელემ სანაძლეო წააგო

აზიაში „სანტოსის" ფეხბურთელთა ყოფნის დროს პელე დაენაძლევა ჰონკონგის ნაკრების გუნდის წევრს ლის, 10 პენალტიდან ნახევარს მოვიგერიებო. მაგრამ „დიდი პელე" დამარცხდა — მხოლოდ ორი დარტყმა მოიგერია, ერთხელ კი ბურთი საერთოდ აცდა კარს. სიტყვამ მოიტანა და პელესთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ ზაგალოს კვლავ ჩასჩინებენ „საუკუნის მოთამაშე" ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნეო. მწვრთნელი ამ საკითხის გადაწყვეტის უფლებას პელეს უტოვებს. პელემ კი, როგორც ცნობილია, უკვე განაცხადა, რომ ფეხბურთს საბოლოოდ გამოეთხოვება 1974 წლის შემოდგომაზე, ე. ი. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ.



პარტიების ანალიზში დამეხმარება ჩემი სეკუნდანტი, ახალგაზრდა შვედი დიდოსტატი ულფ ანდერსონი". უფრო მეტიც, მეკინგი თავის თავს მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა სამეულში ასახელებს (რობერტ ფიშერთან და კარპოვთან ერთად) და ფიქრობს, რომ 1975 წელს მსოფლიო ჩემპიონს უსათუოდ ის შეხვდება.

კორჩნოი თავს იკავებს პროგნოზებისგან:

— ჩემი პარტნიორი საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკეა. იგი განსაკუთრებით ბოლო ხანებში დაოსტატდა. მე ჯერ არ მითამაშია ამ სისტემით — სამი პარტიის მოგებამდე არ ვიცი რა გამომოვა. ამასწინანდელ საწვრთნელ მატჩში რობერტ ჰიუბნერთან რვა შეხვედრაში სამი პარტია ვერ მოვიგე. გარდა ამისა, აკლიმატიზაციაც ძნელი იქნება, რადგან იმ ქვეყანაში მე ჯერ არ ვყოფილვარ...

წინა შეხვედრაში ამ მოჭადრაკეებმა თითო პარტია მოიგეს, ხოლო ორი ზავით დამთავრდა.

ჯერჯერობით საყაიმო ანგარიშია კარპოვ — პოლუგაევსკის შეხვედრებშიც — 1:1 (ორი ყაიმი). კარპოვს, რომელიც 1973 წლის საუკეთესო მოჭადრაკედ აღიარეს, რასაკვირველია, სურს გაამართლოს ეს სახელი. მაგრამ ისეთ მომზადებულ, გამოცდილ მეტოქესთან ბრძოლა, როგორც პოლუგაევსკია, ძალიან ძნელი იქნება. ყოველ შემთხვევაში, მოსკოველი ეცდება თავისი დებიუტი პრეტენდენტთა შეჯიბრებებში ცუდად არ წაატაროს.

ვ. ბაბკინი,
ი. როხლინი.

ხუნტისა და რასისტების „რომანი"

ჩილის ხუნტის მეთაურებს უნაზესი სიყვარულით უყვართ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები. მაგალითად, სულ ახლახან მათ გულში ჩაიკრეს ამ ქვეყნის წყალბურთელთა გუნდი, თუმცა სამხრეთ ამერიკის სხვა სახელმწიფოებმა ზედ ცხვირწინ მიუკეტეს კარი რასისტთა წარმომადგენლებს, რომლებიც სხვათა შორის, ცურვის საერთაშორისო ფედერაციიდან გარიცხული არიან.

აი, ამ გულის ამაჩუყებელი „რომანის" კიდევ ერთი დადასტურება: სულ ახლახანს ჩილის ჩოგბურთის ფედერაციამ გენერალთა კურთხევით თანხმობა განაცხადა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდთან დევისის თასის მატჩის თამაშზე.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელები, რომლებიც „ვერცხლის სასალათის" ამჟამინდელ გათამაშებაში მონაწილეობენ, მხოლოდ საერთაშორისო ფედერაციაში მოკალათებული თავიანთი მფარველების წყალობით გრძნობენ თავს მშვიდად სამხრეთ ამერიკის ზონაში. ბრაზილიის მთავრობამ მათ ვიზები არ მისცა და ამ ქვეყნის ნაკრებთან მატჩი სამხრეთ-აფრიკელებმა მონტევიდეოში ჩაატარეს ურუგვაის რეაქციული დიქტატურის მფარველობით. არგენტინის გუნდმა უარი თქვა სამხრეთ აფრიკის ჩოგბურთელებთან შეხვედრაზე, ხოლო ამ ქვეყნის მთავრობამ საერთოდ აკრძალა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან სპორტული ურთიერთობა.

ამ ფონზე ჩილის ფედერაციის პოზიცია განსაკუთრებით მრავლისმეტყველია. მით უმეტეს, რომ მატჩი უნდა ჩატარდეს რასისტთა ბუნაგში — იოჰანესბურგში, სტადიონზე, სადაც ადგილები ადამიანთა კანის ფერის მიხედვითაა დაყოფილი.

ჩილიელთა სტუმრობა ხელსაყრელია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტის მესვეურებისთვის, რომელთა გარშემოც ერთგვარი ვაკუუმი იქმნება. დღეს უკვე ბევრ სახელმწიფოს აქვს კავშირი გაწყვეტილი რასისტულ რეჟიმთან. აი, რატომ გაახარა სანტიაგოდან მიღებულმა ცნობამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელთა კავშირის პრეზიდენტი ალფ ჩალმერსი.

თუმცა თავად ჩილის ხუნტაც რასისტებთან კავშირს მათი ლამაზი თვალებისთვის როდი ამყარებს. თავისი კონტინენტის სპორტულ წრეებში ხუნტას მხარს არ უჭერენ. ჩილიელმა გენერლებმა უარი თქვეს 1975 წლის პანამერიკული თამაშების სანტიაგოში ჩატარებაზე და მოითხოვეს, რომ შეჯიბრება ორი წლით გადაეტანათ. ისინი, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ ამ ხნის განმავლობაში საბოლოოდ დაამყარებდნენ წესრიგს, მოსპობდნენ ან შორს გადაასახლებდნენ თავიანთი სისხლიანი რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგეს. მაგრამ ფაშისტებმა კარგი სილა მიიღეს: პანამერიკული თამაშები მაინც 1975 წელს ტარდება, ოღონდ ასპარეზობის ორგანიზაცია ბრაზილიის ქალაქ სან-პაულს დაევალა.

ი. ხროვოვი,
(საკდესის კორ.).

ისევ დანიელი...

მიუნპენის „ბაიერნში" ბოლო წლებში წარმატებით თამაშობს დანიელ მცველი ჰანსენი, რომელმაც მთელს ბუნდესლიგაში გაითქვა სახელი. დაცვის შემდგომი გაძლიერების მიზნით, „ბაიერნმა" მიიწვია კიდევ ერთი დანიელი — 24 წლის იენსენი, რომელიც „ოდენსეში" თამაშობდა. თებერვლიდან იენსენს უფლება ექნება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც გამოვიდეს და ბუნდესლიგაშიც.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07536